„საჯარო და კერძო სამსახურებში დასაქმებისა და ანაზღაურების შედარებითი ანალიზი გენდერულ ჭრილში“

მარიამ მურაჩაშვილი, ლიანა ლომიძე

ხელოვნების და მეცნიერებათა ფაკულტეტი, საჯარო მმართველობა, მაგისტრატურის მე-2 კურსი

ნაშრომის ხემლმძღვანელი: მურთაზ კვირკვაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....2

1.1 კვლევის მეთოდოლოგია.....4

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული თეორიული განმარტებები.....5

2.2 საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი დასაქმებისა და ანაზღაურების შესახებ გენდერულ ჭრილში.....7

2.3 საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზი დასაქმებისა და ანაზღაურების შესახებ.....34

2.4 ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების შედარებითი ანალიზი.....41

2.5 შრომის ანაზღაურების და დასაქმების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გენდერულ ჭრილში.....64

3. დასაქმება და ანაზღაურება გენდერის მიხედვით

3.1 განხორციელებული კვლევის მიმოხილვა.....77

3.2 განხორციელებული კვლევის ანალიზი.....79

3.3 კვლევის შედეგები.....96

4. დასკვნა/რეკომენდაციები.....98

5. ბიბლიოგრაფია.....104

დანართები.....107

აბრევიატურები

IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

WIC - ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ECDC – საგანმანათლებლო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრი

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შედგება 5 ძირითადი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში, შესავალი, საუბარია პრობლემის არსზე, მის აქტუალობაზე, ასევე, კვლევის მიზნებსა და მეთოლოგიაზე, ჩამოყალიბებულია კვლევის რამოდენიმე ჰიპოთეზა.

მეორე თავი მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, სადაც წარმოდგენილია გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ტერმინთა განმარტებები, ახსნილია მათი რაობა და მნიშვნელობა. აგრეთვე, განხილულია, ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობები დასაქმებისა და ანაზღაურების მიხედვით გენდერულ ჭრილში. ამავე თავში საუბარია, აღნიშნულ საკითხზე სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე. წარმოდგენილია სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების მონაცემები და მათი განხილვა.

შემდეგი ნაწილი ეხება სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევას. საუბარია, კვლევის მთავარ ამოცანებსა და მიზნებზე, მისი განხორციელების საშუალებებზე. გაანალიზებულია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები და განხილულია მისი შედეგები.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია დასაქმებისა და ანაზღაურების შესახებ ნაშრომის ავტორების ხედვა. წარმოდგენილია მიღებული შედეგები, შემოთავაზებულია დასკვნა და რეკომენდაციები. გადმოცემულია ავტორების მოსაზრებები თუ რა ღონისძიებიები უნდა გატარდეს და როგორი მიდგომა იქნებოდა უკეთესი პრობლემის აღმოსაფხვრელად.